ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N7.

თარიღი: 21.03.2023 წ.

დადგენილება N13.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N10.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის ურთიერთობების გაღრმავებას.

1.2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის დებულების, პერსონალის მართვის წესისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. სამსახურის მართვა და ფუნქციები

2.1. სამსახურს მართავს ხელმძღვანელი რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2.2. სამსახურს შესაძლებელია ჰყავდეს სპეციალისტი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2.3. სამსახურის ამოცანებია:

ა. ურთიერთობების დამყარება საზოგადოებასთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სასწავლო - სამეცნიერო ცენტრებთან, კულტურულ - სპორტულ, შემოქმედებითი და სხვა სახის ორგანიზაცია - დაწესებულებებთან, ცნობილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან;

ბ. უნივერსიტეტის კონფერენციების და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვა/ჩატარება;

გ. უნივერსიტეტის სახელით ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირების უზრუნველყოფა;

დ. სოციალურ, კულტურულ, გარემოსდაცვით და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ე. უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ;

ვ. მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში.

2.4. სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები

ა. უნივერსიტეტის პრეს - კონფერენციების და ბრიფინგების ჩატარება, უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ პერიოდული პრეს - დაიჯესტის მომზადება და გამოქვეყნება;

ბ. სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ოფიციალური ვებ - გვერდის სტრუქტურისა და შინაარსის მართვაში თანამონაწილეობა. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ მიღებული აქტების გამოქვეყნება (საჭიროებისამებრ);

გ. უნივერსიტეტის სახელით ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირების უზრუნველყოფა;

დ. საქმიანი ურთიერთობების დამყარება საზოგადოებასთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სასწავლო - სამეცნიერო ცენტრებთან, კულტურულ - სპორტულ, შემოქმედებითი და სხვა სახის ორგანიზაცია - დაწესებულებებთან, ცნობილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან;

ე. სოციალურ, კულტურულ, გარემოსდაცვით და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ვ. კონფერენციებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება;

ზ. უნივერსიტეტში კულტურულ - შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

თ. უნივერსიტეტში ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება.

2.5. სპეციალისტის ფუნქციებია

ა. სოციალური ქსელების მართვა. უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით სხვადასხვა სახის სარეკლამო საშუალებებისა და სოციალური ქსელების გამოყენებით.

ბ. ოფიციალური ვებ - გვერდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა:

- ოფიციალური ვებ - გვერდის დიზაინის მომზადება და მასში ცვლილებების შეტანა;
- ინფორმაციის ოფიციალურ ვებ - გვერდზე განთავსება;
- ოფიციალური ვებ - გვერდის მუდმივი მონიტორინგი და განახლება;
- სოციალური ქსელების ინტეგრაცია და ოპტიმიზაცია.

გ. მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამების, პროექტების, ვაკანსიების, კონკურსების და სხვა აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. მიმდინარე პროცესების, სიახლეების შესახებ ინფორმაციის დამუშავება/მომზადება და აღნიშნული ინფორმაციის საზოგადოებისთვის სათანადო ფორმით მიწოდება;

დ. შიდა კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და პროფესორ - მასწავლებლებთან;

ე. უნივერსიტეტის დებულებით, სამსახურის დებულებით, მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამსახურის სხვა ფუნქციების შეთავსება, შესრულება;

ვ. ამავე სამსახურის ხელმძღვანელის მითითებების შესრულება;

ზ. კონფერენციებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

მუხლი 3. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

3.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

3.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

3.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

3.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.